საქართველოს პარლამენტი

საქართველოს კანონის პროექტი

„პროფესიული განათლების შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე"

კანონპროექტის დასახელება

საქართველოს პარლამენტის წევრები: შალვა პაპუაშვილი, მამუკა მდინარაძე, ანრი ოხანაშვილი, რატი იონათამიშვილი, მაკა ბოჭორიშვილი, დავით მათიკაშვილი, თენგიზ შარმანაშვილი, ირაკლი შატაკიშვილი, სოხარ სუბარი	საქართველოს პარლამენტის წევრები: შალვა პაპუაშვილი, მამუკა მდინარაძე, ანრი ოხანაშვილი, რატი იონათამიშვილი, მაკა ბოჭორიშვილი, დავით მათიკაშვილი, თენგიზ შარმანაშვილი, ირაკლი შატაკიშვილი, სოხარ სუბარი
კანონპროექტის ინიციატორი	*კანონპროექტის ავტორი*
საქართველოს პარლამენტის წევრი **რატი იონათამიშვილი** – თანამომხსენებელი – საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე ანრი ოხანაშვილი –	საქართველოს პარლამენტის იურიდიული საკითხთა კომიტეტის აპარატის უფროსი ლევან კასრაძე –
მომხსენებელი, წამყვანი კომიტეტი	*კანონპროექტზე კომიტეტის აპარატის პასუხისმგებელი პირი*

საქართველოს პარლამენტის აპარატის იურიდიული დეპარტამენტი

იურიდიული დეპარტამენტის უფროსი

ალექსანდრე ტაბატაძე –

საბოლოო რედაქციისგან ვარიანტი

პროექტი

საქართველოს კანონი

„პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონს (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე (www.matsne.gov.ge), 09.10.2018, სარეგისტრაციო კოდი: 430060000.05.001.019178) დაემატოს შემდეგი შინაარსის 4^1 მუხლი:

„მუხლი 4^1. „ოჯახური ღირებულებებისა და არასრულწლოვანის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი მოთხოვნების დაცვა

დაუშვებელია პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების/კოლეჯის საგანმანათლებლო პროგრამაში ისეთი ინფორმაციის შეტანა ან/და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების/კოლეჯის თანამშრომლის მიერ ამ დაწესებულების/კოლეჯის საქმიანობის ფარგლებში ან/და ამავე დაწესებულების/კოლეჯის ტერიტორიაზე ისეთი ინფორმაციის გავრცელება ან ისეთი ინფორმაციის გავრცელების ხელშეწყობა, რომელიც მიმართულია ადამიანის არცერთი ბიოლოგიური სქესისთვის მიკუთვნების ან/და მისი ბიოლოგიური სქესისგან განსხვავებული სქესისთვის მიკუთვნების, ერთი და იმავე ბიოლოგიური სქესის წარმომადგენლებს შორის სექსუალური ორიენტაციის ნიშნით გამოხატული ურთიერთობის ან ინცესტის პოპულარიზაციისკენ. ამ მუხლის მიზნებისთვის ტერმინი „პოპულარიზაცია“ განიმარტება „ოჯახური ღირებულებებისა და არასრულწლოვანის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.“.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-60 დღეს.

საქართველოს პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილი

თბილისი,

2024 წლის ... სექტემბერი.